# სახალხო გაზეთი

№ 255 სამშაბათი, 15 მარტი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 255

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ „საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაბან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.



ანნა აბრამის ასული ნახიძისა და დავით ქაიხოსროს ძე ნახიძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ვერაგულად მოჰკლს, პირველის—ქმარი და მეორის—ძმა

**ალექსანდრე (იგივე) ალექსი ქაიხოსროს ძის ნასიძე.**

პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში. ოთხშაბათს, 16 მარტს, ცხედარს საავადმყოფოდან სამლოცველოდან გამოასვენებენ დილის 9 საათზე წმ. მარინეს ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, შემდეგ ცხედარს გამოასვენებენ და დაკრძალავენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—1—1)



## ტფ. არტისტიული საზოგად. საკონცერტო დარბაზი

კვირას, 27 მარტს 1911 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ შესდგება

## ქართული სასულიერო კონცერტი

სასულიერო სემინარიის ხორო ბ-ნ ი. კარგარეთელის დოტბარობით შეასრულებს ქართულ საეკლესიო საგალობლებს კლენოვსკისას, იპოლიტოვ-ივანოვისას, ფალიაშვილისას, მონადირიშვილისას, კარგარეთლისას და კარბელაშვილისას.

დაწვრილებით აფიშებში. (11—1141—2)



კვირას, 27 მარტს 1911 წ., დილის 11 საათზე,

სავაჭრო პროგიმნაზიის შენობაში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება

**ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.** განსახილველი საგნები: 1) დამტკიცება 1910 წლის ანგარიშისა, 2) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა, ორის—საბჭოსა და სამის—სარევიზიო კომისიისა, მათის კანდიდატებით, ნაცვლად ვადა გასულთა. 3) დამტკიცება 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. და 4) კითხვა ახალ ბინაზე გადასვლისა. (3—1145—1)



ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჩაის თესლისა

## ხ. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

**ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, საჭ. სახ. ქუთაისში**

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჩაის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—6)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მალაღაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით**

(Ehrlich-hata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სათასურით. (წ.—1089—418)



**ექიმი** ქ. ქუთაისში **თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ჭირაძეების სახლი. (50—15—42)



**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)



## „ნაკადულის“ რედაქციაში იყიდება მხატვრული ასაწყობი ქართული „ან-ბანი“ კუბიკებზე

ფასი ერთი მანეთი. (2— —2)



**ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** დამფუძნებელნი სთხოვენ საზოგადოების წევრებს და ყველას, ვისაც ჰსურს მის წევრობა, მობრძანდნენ 16 მარტს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში

## პირველ საზოგადო კრებაზე

საზოგადოების ორგანიზაციის დასაწყობად და მოხელეების ასარჩევად. კრების დაწყებამდის მსურველთ იქვე შეუძლიათ წევრად ჩაეწერნენ, მხოლოდ საჭიროა თითო მანეთი საწევრო ფულის გადახდა. (2—1146—1)



**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—1)



## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ სანიტარულ ნაწილის სავალდებულო დებულების მე-42 მუხლის ძალით „ყველა ახლად აშენებული თუ საფუძვლიანად გადაკეთებული სახლი, შიგ დაბინავებამდე ქალაქის გამგეობის მიერ დანიშნულმა განსაკუთრებულმა კომისიამ უნდა დაათვალიეროს, რომელშიაც აუცილებლად უნდა იყოს ქალაქის ტექნიკი და ექიმი, რომელნიც დათვალიერების შემდეგ უწყებულ ოქმს შეადგენენ: ა) აკმაყოფილებს თუ არა სახლი საამშენებლო, სანიტარო და სხვა სავალდებულო დებულებათა მოთხოვნილებას; ბ) სახლის რომელ ნაწილში არ შეიძლება ბინადრობა. სახლში დადგომა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ოქმში აღნიშნულ ცნობათა მიხედვით სახლ პატრონს ქალაქის გამგეობისაგან მოწმობა მოუვა“,—ამისთვის გამგეობა სთხოვს მდგმურებსა და ქ. ტფილისის სახლის პატრონთ, ვინც სახლებს საბინადროდ თუ სავაჭრო დაწესებულებისთვის და სხვათათვის აქირავებს, ესმხედველობაში იქონიონ. (3—1119—3)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

გნუჩკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. და ბავშვ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.დღე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—5.—66)



**ექიმი** ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—14)



ვაგზლის კერძო

## სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით.** (წ.—1090—14)



ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—61)



**ექიმი** ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა გასერმანისებურად საგანგებოდ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ტლექიანისა და საყმაწვილოსა სხვა და სხვა ტუბერკულინებით ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებოდ შესაწყვეტებში სტერილიზაცია გაკეთებული ბროვეტები სისხლის გამოგზავნისთვის გასერმანისებურად გასინჯვისათვის. (50—107—2)



**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.



**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე ჭიროჩნის ქ., № 9. (უ)



**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—21



ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლდანოვის ქ., N 20. (0—5.—71)



**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)



**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.



**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქოს ქუჩა N 7. თ.—190—101



**ექიმი** ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—234



## შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა

ტფილისის განყოფილება იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ-დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—4)


## ტფილისი, 15 მარტი

**სამინისტრო კრიზისის დასასრული.** სამინისტრო კრიზისი დასრულდა. სტოლიპინი ისევ პრემიერად დარჩა. ყველაფერი ეს ისეთს პირობებში მოხდა, რომ საქმის ვითარების გათვალისწინება მეტად არ უნდა ჩაითვალოს. სამინისტრო კრიზისი, როგორც ჩვენს მკითხველებსაც ეცოდინებათ, იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ სახელმწიფო საბჭომ სტოლიპინის კანონ-პროექტი არ დაამტკიცა. რად მოექცა სახელმწიფო საბჭო ამნაირად სტოლიპინის კანონ-პროექტს, ამაზე არაფერს ვიტყვით, რადგანაც გაკვრით უკვე შევეხეთ ამ მხარეს. რასაც უნდა გამოეწვია სახელმწიფო საბჭოს მოქმედება, დახლართულ კვანძის გახსნა მაინც აუცილებელი გახდა. ეს კი მხოლოდ ორნაირად მოხერხდებოდა: ან სტოლიპინი უნდა წასულიყო და ან კანონ-პროექტი განხორციელებულიყო. კანონ პროექტის განხორციელება მაშინ, როდესაც სახელმწიფო საბჭო და სათათბირო მოუმართლდნენ, შეუძლებელი იყო. ამიტომაც საკანონ-მდებლო დაწესებულებანი 15 მარტამდის დაითხოვეს, და სახელმწიფო საბჭოს მიერ უარყოფილი კანონ-პროექტი 87 მუხლის ძალით დაამტკიცეს. ეს ისეთი არა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ საჭირო გახდა განმარტება. სამინისტროს ოფიციოზმა „როსსია“-მაც აღნიშნა, რადგანაც საბჭოს მიერ უარყოფილი და 87 მუხლის ძალით დამტკიცებული კანონ-პროექტი კვლავ უნდა წარედგინოს საკანონმდებლო დაწესებულებებს დასამტკიცებლად, ეს ზომა სათათბიროსა და საბჭოს უფლებათა დარღვევად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ასეა თუ ისე, სტოლიპინის ადგილზე დასატოვებლად საჭირო გახდა ისეთის არა ჩვეულებრივის ზომის მიღება, რანაირიცაა 87 მუხლის ძალით კანონ-პროექტის დამტკიცება. ამრიგად სამინისტრო კრიზისი, დღეს-დღეობით მაინც, გათავებულად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ არსებობს კიდევ მეორე საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ გადასაწყვეტია, სახელდობრ, რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მთავრობამ ჩინეთის მთავრობას პასუხის უკანასკნელ ვადათ დაუნიშნა 15 მარტი, სწორედ ის რიცხვი, როდემდისაც შეწყვეტილია სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს სხდომები...

## ახალი ამბები

### ტფილისი

✦ **ქართულ მუზეუმის შენობის აგების საკითხი უკვე საბოლოოდ გადასწყდა.** ცნობილ ქველმოქმედს დ. ზ. სარაჯიშვილს გადაუწყვეტია, მოკლე ხანში თავის ხარჯით შეუდგეს მუზეუმის შენობის აგებას. ამ აზრით უკვე მოლაპარაკება გაუმართავს წიქოოსანის მეუღლესთან, რომელსაც შენობისთვის შესაფერი ადგილი აქვს წყნეთისა და ოლგას ქუჩის კუთხეში.

✦ როგორც ვწერდით, **ტფ. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ წელს სათეატრო სეზონი ზარალით გაათავა.** 13 მარტს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ დაადგინა: 2,000 მანეთით დაეხმაროს დრამატიულ საზოგადოებას ამ ზარალის დასაფარავად.

✦ ქართველთა შორის **წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს განყოფილებას** დაუდგენია, შეიძინოს ადამოვისეული სახლი, რომელიც სათავად-აზნაურო ბანკს დარჩა. შესაფერი მოლაპარაკება ბანკთან უკვე გაუმართავს.

✦ კვირას, 13 მარტს, როგორც იყო, **ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების კრება მოხდა.** კრება შუადღისას, 12 საათზე, დაიწყო ქალაქის გამგეობის სადგომში ნაფიც ვექილის ო. ი. ბუქშტეინის თავმჯდომარეობით. კრებაზე გამოირკვა, რომ საზოგადოების უკანასკნელი საერთო კრება წარსულ წლის გაზაფხულზე მომხდარა და მას შემდეგ არც საზოგადოების გამგეობას გაუკეთებიარა. 1910 წლის 8 მარტს საზოგადოებას ნაღდი ფული ჰქონია 105 მ. ამ დღიდან 1911 წლის 13 მარტამდე შემოსავალი ჰქონია—10 მან., ხარჯი—62 მან. ამ ჟამად აქვს 53 მ. დასასრულ გამგეობის ახალ წევრთა არჩევნები მოჰხდა. არჩეულ იქმნენ: ო. ს. ბუქშტეინი (თავმჯდომარედ), ი. ი. ფრანჩესკი, დ. ი. სპასკი (ხაზინადრად), შ. ე. დავითაშვილი, ვ. გ. ელიავა, ა. ნიკიტინი და ს. ს. ვარდანიანი (მდივნად).

✦ 13 მარტს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში **ბეჭდვით სიტყვის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების წევრთა საერთო კრება** მოჰხდა. ამ საზოგადოებას თავისი მოქმედება 1905 წლის 25 სექტემბრიდან შეუწყვეტია. მაშინ საზოგადოებას ნაღდი ფული 1462 მან. ჰქონია. საზოგადოებას წევრები ნელ ნელა ჩამოსცილია და დღემდე გამგეობის წევრთაგან შერჩენილან მხოლოდ სამი კაცი: ლ. დ. ყიფიანი, ჰ. ა. იონისიანი და მ. ა. ჯაბარი (უკანასკნელი კრებაზე არ მო-

ვიდა). 1905 წლიდან გამგეობის ამ სამს წევრს სხვა და სხვა პირთათვის დახმარება აღმოუჩენია და ამ ჟამად კიდევ აქვს ნაღდი ფული 550 მან. კრებამ მცირე კამათის შემდეგ რ. ა. იონისიანს დაავალა, აღადგინოს საზოგადოების ძველ წევრთა სია, შეიმუშაოს მოხსენება საზოგადოების კვლავ გამოცოცხლების შესახებ და წარუდგინოს საზოგადოების მომავალ საერთო კრებას, რომელიც უნდა მოწვეულ იქმნეს არა უგვიანეს ერთის თვისა.

✦ გუშინ კრება ჰქონდათ ტფ. ქალაქის გამგეობის წევრებს. გამგეობამ, სხვათა შორის, დაადგინა: **500 მანეთი გადასდოს ქუთაისის გუბერნიაში მკაცრის ზამთრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.** გამგეობამ გადასწყვიტა, ეს დადგენილება პირველ უახლოეს კრებაზე წარუდგინოს დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს.

✦ **სომხის ნიჭიერ დრამატურგის შირვანზადეს იუბილეი 7** მაისს იქმნება გადახდილი. საგანგებოდ არჩეულმა საიუბილეო კომიტეტმა მწერალს ატრპეტს დაავალა, შეადგინოს იუბილიარის ვრცელი ბიოგრაფია და მოკლე კრიტიკული მიმოხილვა შირვანზადეს ნაწერებისა. ორივე შრომა ცალკე წიგნად გამოვა.

✦ 12 მარტს, საღამოს 8 საათზე, ოლგას ქუჩაზე ვიღაც უცნობმა თავის მაღაზიის წინ **მოჰკლა** სიღნაღის მაზრის სოფელ მაღაროს მცხოვრები ალექსანდრე ქაიხოსროს-ძე ნასიძე. ამ მკვლელობის გამო ეჭვით შეიპყრეს დუშეთის მაზრის მცხოვრები ვასილ იაგორის-ძე ხუბაევი.

✦ შაბათს, 19 მარტს, სახაზინო თეატრში გაიმართება **საინტერესო ბაასი** რამდენიმე ლექტორებისა შემდეგ თემაზე: „სიყვარული ახალ რუსულ ლიტერატურაში“.

მ. ა. მუხარინსკაია: „სიყვარული ჩეხოვისა“; მ. ნ. ანდრეევი: „სიყვარული ტურგენევისა“, (აგრეთვე არციბაშევისა და გამსუნისა); დ. კ. გეშმეიანი: „სიყვარულის სტიქია“, (კნუტ ჰამსუნი და ს. პშიბიშევსკი). კ. ა. გაზდოვი: „სიყვარული და ეჭვიანობა ტოლსტოისა“. მ. დ. ფრენკელი: „სიყვარული და პორნოგრაფია“. ბილეთების ფასი 25 კ. 3 მ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ ამას წინად ოზურგეთის მაზრის სოფელ ქვიანის საზოგადოებამ მიწადმოქმედების დეპარტამენტის წინაშე შეუამდგომლობა აღძრა ამ სოფელში **პირველ დაწყებით სამეურნეო სკოლის** დაარსების შესახებ. დეპარტამენტმა ამ ჟამად მთხოვნელთ აცნობა, სკოლას ხაზინიდან ყოველწლიურად 2,000 მან. დაენიშნება, რაც შეეხება ერთ დროულ და დანარჩენ ყველა **წლიურ ხარჯს** ეს თვით სოფლის საზოგადოებამ უნდა იკისროსო. დეპარტამენტი ამასთანავე პირდება, ვიშუამდგომლებთ, რათა ხე-ტყე სკოლის შენობის ასაგებად იფად დაგეთმოთო.

✦ რედაქციამ მიიღო **ახალი წიგნი** პროფ. მარრისა რუსულ ენაზე: „Грузинскія приписки греческаго Евангелія изъ корицiи“.

✦ ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ შამხაროვის სახელობის **სტიპენდია** ღედათა მეხუთე გიმნაზიის მოსწავლეს ნადეჟდა სამოდუროვს დაუნიშნა.

✦ **ფუნიკულერის** წესიერი მოძრაობა 15 მარტიდან დაიწყება.

✦ 15 მარტს სასტუმროებისა, რესტორანებისა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა მეპატრონეების საურთიერთო დამხმარე საზოგადოების კრება მოჰხდება.

✦ ინჟინერმა ი. ი. კოგნოვიცკიმ უკვე შეადგინა **პროექტი კოჯორის რკინისა.**

✦ როგორც გვწერენ, თოვლს და ყინვას დიდად გაუფუჭებია ოზურგეთში ჩაის **სანერგე.**

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ **„ნაკადული“**ს მორიგი (5) ნომერი-მცირე წლოვანთათვის.

✦ ფინანსთა სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებლად სცნო, ნაწილ-ნაწილად გადაახდევინოს, ოთხის წლის განმავლობაში, საერობო გადასახადი 802 მან., რომელიც დარჩენილია გორის მაზრის სოფელ სავანლის ხევის მემამულეებზე: ნიკოლოზ, დავით, გიორგი, ვლადიმერ, შალვა, გრიგოლ და არჩილ სავანლებზე.

✦ 15 მარტს სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ექმნება **ფრინველთა მომშენებელ საზოგადოებას.**

✦ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ხარბინში საქონლით მოვაჭრე—**გოცირიძე უგზო-უკვლოდ დაკარგულა.**

✦ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო შემოწირულებანი:** მღვ. გიორგი ასათიანისაგან—სასანიანთ დროის ვერცხლის ფული, ბიზანტიური ფული ვერცხლისა და მუსულმანური შავი ფული; მღვ. ალექსანდრე ფხალაძემ—რუსუდანის ფული დიღმის მცხოვრებმა ივანე აბრამის ძემ გუნებაშვილმა—რუსუდანის ფული, ალექსანდრე იოსების ძე ქვლივიძემ—სურამის ციხეში ნაპოვნი ტყვიის ყუმბარის ნატეხი და მხედრული ხელნაწერი, ნაწყვეტები „ქილილა და მან“-დან.

✦ 12 მარტს **ტფილისში შეიპყრეს არშაკ იაგორის-ძე ეირანოვი და ალექსანდრე მიხეილის-ძე ტერ-ოჰანეზოვი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულნი იყვნენ და თავის ნებით დაბრუნდნენ.**

✦ **პოლიციამ ტფილისში შეიპყრო:** 12 მარტს 54 უპასპორტო, 13 მარტს—40.

✦ 13 მარტს გონზარის ქუჩაზე მიმავალ 41 წლის ქალს სოფიო არუშანის ასულ მირზოევს წამოეწია ვიღაც უცნობი და დანით კისერში დასჭრა. უცნობი გაქცევას აპირებდა, მაგრამ პოლიციელმა შეიპყრო. ის აღმოჩნდა ტფ. მოქალაქე გეორგ კონიევის-ძე ოჰანეზოვი.

# ჟურნალისტის დღიური

11

**ქართული მუსიკა**

ყოფილა ისეთი ხანა ზოგიერთ პატარა ერთა ცხოვრებაში, როდესაც მუსიკა, ეროვნულ გათვით-ცნობიერების ძლიერს იმპულსად გადაქცეულა. ქართული მუსიკა, როგორც ევროპიულად დამუშავებული დარგი ხელოვნებისა, ჯერ არ არსებობს. სამაგიეროდ ჩვენა გვაქვს გასაოცარის სინაზის ეროვნული ჰანგები და მელოდიები, რომელთა დამუშავება, ასე ვსთქვათ, გაევროპიელება, მოქცევს მეტად ძლიერს ეროვნულს მუსიკას. ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებულნი, რომ ამნაირად დამუშავებული ხალხური მუსიკა ჩვენშიაც შეიძლება გადაიქცეს ეროვნულ გათვით-ცნობიერების ერთ-ერთის იმპულსად, მიუხედავად ამისა, ჩვენს მუსიკას გამოცოცხლება ვერ ემჩნევა, ან, უკეთ რომა ვსთქვათ, მისი განვითარება ისეთის ნაბიჯით ვერ მიდის, როგორც სასურველია და შესაძლებელი.

ერთ კერძო ბაასის დროს ევროპიულად განათლებულმა მემუსიკემ მითხრა, ევროპიულს სკოლაზე აღზრდილი მემუსიკენი თითქოს გაურბიან აზიურს მუსიკას საზოგადოდ და ქართულს—კერძოდაო. მათ რაღათაცა ჰგონიათ, რომ აზიურს მოტივებით სარგებლობას პლებეიზმი შეაქვს ხელოვნებაშიო. ამას პატივცემული მემუსიკე გულის-წყრომით ამბობდა და თან გამოჩენილ კომპოზიტორთა მაგალითით გვიმტკიცებდა, რომ აზიურის მოტივებით ფართოდ სარგებლობს ევროპიული მუსიკა.

ასეთი შეხედულება ჩვენში თანდათან ისპობა და მტკიცდება ის აზრი, რომ ქართულს ხალხურ ეროვნულს მუსიკაზე შეიძლება აშენდეს ფრიად ძლიერი გაევროპიელებული მუსიკა, რომელიც დიდს როლს ითამაშებს ქართველ ხალხის ეროვნულს გათვითცნობიერებაში. ეს აზრი თან და თან ფეხს იკიდებს, მაგრამ მარტო აზრი არა კმარა. საჭიროა საქმეც, რომელიც ცხად ჰყოფს ყველასათვის ამ აზრს. საქმე კი არსადა სჩანს. რომ ვსთქვათ მემუსიკენი და კომპოზიტორები არა გვყვანანო, ტყუილი იქნება. ვიცით რომ ჩვენა გვყავს ნიჭიერი კომპოზიტორებიც, თეორეტიკოსებიც, რომელთაც შეუძლიანთ დიდი დახმარება გაუწიონ ქართულს ეროვნულს მუსიკას, მაგრამ დღემდე მათ ერთი კონცერტის გამართვაც კი ვერ მოახერხეს. ამ რამდენისამე ხნის წინათ ქართულს თეატრში ბ-ნმა მიშა კავსაძემ კონცერტი გამართა. მიშა კავსაძეს სპეციალური მუსიკალური განათლება არა აქვს, მომღერალთა გუნდიც საშინლად სუსტი ჰყვანდა, მაგრამ თეატრი კი მაინც ხალხით გაივსო. ეს მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ქართველ საზოგადოებას დიდი სურვილი აქვს ქართულ მუსიკის მოსმენისა. სურვილი დიდია, მაგრამ მაინც არავინა ცდილობს ეს სურვილი დააკმაყოფილოს. ერთავად რაღაც შავი ყორანი დასჩხავის ჩვენს მემუსიკეთ, რომელნიც ვერ შეთანხმებულან, სოლიდარობის ხელი ვერ გაუწვდიათ ერთმანეთისთვის და უბრალო ქიშპობით ძირს უთხრიან საქმეს, რომელსაც საერთო საეროვნო მნიშვნელობა აქვს. ეს რომ ასე არ იყოს, განა აქამდის ჩვენი მემუსიკენი საერთო ძალ-ღონით კონცერტებს მაინც არ გამართავდნენ? ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ბ-ნ ზაქარია ფალიაშვილს დაწერილი აქვს რამდენიმე რომანსი და ოპერის ნაწილიც კი. ვიცით, რომ მეორე ჩვენ ნიჭიერ კომპოზიტორს ბ-ნ ანდრია ყარაშვილს საკმაოდ ბლომა საკონცერტო მასალის გარდა, აქვს კიდევ დამზადებული ერთი მოქმედება, ბალეტით, ოპერა „ვეფხის-ტყაოსნიდან“. მარტო ესეც კი საკმარისი იქნებოდა, რომ ჩვენ მემუსიკეთ ქართველ საზოგადოებისთვის მრავალ-ფეროვანი კონცერტი გაემართათ. ასეთი კონცერტი ნამდვილი დღესასწაული იქნებოდა ქართველ საზოგადოებისთვის. ყველა ეს მართალია, მაგრამ ჩვენი მემუსიკენი პირად შუღლს მაინც ვერ გადასცილებიან. ამის დამალვა ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია. არის ისეთი მომენტები, როდესაც სიჩუმე ადამიანს დანაშაულად შეიძლება ჩაეთვალოს.

**შინაური.**

# სამინისტროს კრიზისის გამო

**პეტერბურგი.** 14 მარტს „რჯულდებათა კრებულში“ მოთავსებულია სენატის სახელობაზე გამოცემული უმაღლესი **ბრძანება**, რომლითაც სახელმწიფოს ძირითად კანონთა მე-87 მუხლის ძალით, ვიტებსკის, ვოლინის, კიევის, მინსკისა, მოგილევისა და პოდოლის გუბერნიებში ერობა უნდა შემოიღონ.

**პეტერბურგი.** „როსია“ სწერს: ამ დღეებში დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღებაზე აღძრულმა საკითხმა ისეთი შთაბეჭდილებანი წარმოშო, ვითომ მთავრობის მოღვაწეობას ტახტის სიმაღლიდან კიცხვით ეპყრობოდნენ, რაც ისეთ გარემოებასა ჰქმნიდა, თითქოს უმაღლეს მთავრობას ეროვნულ პოლიტიკაში ძირითადი ცვლილების მოხდენა გადაეწყვიტოს. **ხელმწიფემ** კეთილ ინება და მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა მოიწონა. ამ საქმეში წარმოშობილი დაბრკოლებანი მეფეს ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებად მიაჩნია და ამისათვის მათი თავიდან აცილება გადასწყვიტა. საკანონმდებლო დაწესებულებათა მიმართ გამოცხადებული მუშაობის შეწყვეტა შესაძლებლად გახდის ერობის შემოღების კანონ-პროექტის მიღებას ძირითად კანონთა მე-87 მუხლის წესით.

ამ ზომით, ერთის მხრივ, გარკვევით განმტკიცდება უმაღლეს მთავრობის გადაწყვეტილება, რუსეთის ნაციონალურ პოლიტიკის საფუძველზე დგომისა და მეორეს მხრივ დასავლეთ გუბერნიებში რუსეთის მოსახლეობის გონებაში დამშვიდება შეაქვს, რომელიც მომხდარ ამბებით შეძრწუნებული და ზნეობრივად შერყეულია. გამოცხადებულ მუშაობის შეწყვეტას კანონიერება და ასეთ შემთხვევებში მთავრობის უფლება განსაკუთრებულის წესით კანონის გაყვანაში უცილობელია. კანონ-პროექტმა სათათბიროში გაიარა და სახელმწ. საბჭოს უმრავლესობაც მოიმხრო; თუ კურიების თაობაზე კენჭის ყრის დროს იგი დამარცხდა, ეს ისეთს პირობებსა და წესების დროს მოხდა, რომელიც სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით განხილვის ღირსი არ არის. არც სათათბიროსა და არც საბჭოს არ შეუძლიანთ სთქვან, რომ მიღებულის ზომით მათი უფლებანი რითიმე დარღვეულიყოს: მე-87 მუხლის წესით გამოცემული კანონი საკანონმდებლო დაწესებულებად უნდა წარედგინოთ; მაშასადამე სათათბიროსა და საბჭოს აზრის საჭირო შესწორებათა შეტანა თავის დროზე შეუძლიანთ.

# ტფ. გუბერნიის თავ.-აზნ. საგანგებო კრება

კრება დაიწყო 12 ნახ. საათ., გუბერნიის მარშლის თავმჯდომარეობით. პირველად კრებას მოხსენდა ქართ. დრამატიულ საზოგადოების თხოვნა. საზოგადოება სთხოვდა თავ.-აზ. 2000 მან. სესხად. ამის შესახებ წაუკითხეს კრებას სადეპუტატო საკრებულოს დადგენილება. დადგენილებაში ნათქვამია:

# „მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“

**(მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის).**

(შემდეგი)

VII

დიდ-მნიშვნელოვანი და საყურადღებო საგანი „კვალის“ მიერ წამოყენებული, ყოველს ეჭვს გარეშე, იყო საკითხი კაპიტალისტურ წარმოების შესახებ ჩვენს ქვეყანაში. 1895 წელს ახალ დასს ემატება ახალი ძალა, ნოე ჟორდანია, რომელიც სხვებთან ერთად მარქსიზმის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების გარკვევა-განმარტებას შეუდგა. ჯერ კიდევ 1894 წელს დაბეჭდა მან, როგორადაც უკვე გვქონდა ნათქვამი, ჟურნალ „მოამბეში“ ვრცელი და საკმაოდ დასაბუთებული წერილი „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“. წერილი საყურადღებო მით არის, რომ იგია აგებული ეკონომიურ-მატერიალიზმის საფუძველზე. ეკონომიურ-მატერიალიზმის მოტივების განმარტებას წინადაც ჰქონდა ადგილი ჩვენს ლიტერატურაში. გ. მაიაშვილი ჩვენს მიერ უკვე განხილული „წერილი საზოგადო მოღვაწეთადმი“, (1881 წ.), ისტორიულ მატერიალიზმის საფუძველზეა დამყარებული, თუმცა ამ წერილის „ეკონომიკა“ მარქსისტული ხასიათის არ არის. მარქსისტული ისტორიული ფილოსოფია, ხოლო არა-მარქსისტულ „ეკონომიკის“ აღიარება ხშირი მოვლენაა ჩვენს მწერლობაში. ამ ხასიათისაა ლალის ნაწერები პირველ პერიოდისა. მეორეს მხრივ კი, არიან ჩვენში იმისთანა მწერლებიც, რომელნიც ეკონომიურ მატერიალიზმის თეორიას უარ-ჰყოფენ, ხოლო აღიარებენ რამდენიმეთ მარქსისტულ ეკონომიკას. ფხას ნაწერებია ამ ხასიათისა.

ჩვენ აქ მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებთ ისტორიულ ფილოსოფიის საკითხების გარკვევაზე. ჩვენს თეორიულ აზროვნობის განვითარების საქმისათვის ამ საკითხების წამოყენებას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხოლო ამ ჟამად გვინდა ხაზი გავუსვათ აზრის იმ მიმართულებას, რომელსაც საგნად ჰქონდა ჩვენი ქვეყნის სოციალურ ვითარების ახსნა-განმარტება.. ამ საქმეს ემსახურებიან ისტორიულ ფილოსოფიის თეორიებიც. ხოლო რახან ჩვენ აქ უფრო „პრაქტიკულ“ აზროვნების მიმდინარეობას ვადევნებთ თვალყურს და არა „თეორიულ“ აზრის განვითარებას, ამიტომ ჩვენი მსჯელობის საგნად იქნება არა ისტორიული ფილოსოფია, არამედ საკითხი კაპიტალიზმის მოკიდებისა და განვითარებისა ჩვენს ქვეყანაში.

ა. ფხა სწერს: „ნ. ჟორდანიას სტატიები, რომელნიც „მოამბეში“ იყო დასტამბული, შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ. პირველ ნაწილში ავტორი, ავად თუ კარგად, ეკონომიური მატერიალიზმის სახელმძღვანელო პრინციპებს თავს უყრიდა და ამ მოძღვრებას გვიმარტებდა. მეორე ნაწილში კი ავტორი ცდილობს, ეს პრინციპები ჩვენს ცხოვრებას შეუფარდოს და დაგვიმტკიცოს, რომ საქართველოში კაპიტალისტური წარმოება „საოცარი სისწრაფით“ ფეხს იკიდებს. ჩვენს სტატიაში შევეხეთ ნ. ჟორდანიის სტატიის მხოლოდ პირველ ნაწილს მეორეზე არა გვითქვამს რა. არა გვითქვამს რა იმიტომ, რომ ჩვენც გვჯერა, რომ ჩვენში კაპიტალისტური წარმოება „საოცარი სისწრაფით“ თუ არა, თან და თან მაინც ფეხს იკიდებსო[1])“. ერთ-ერთი საკამათო საგანი სწორედ ეს იყო. ერთნი ამბობდნენ, კაპიტალი „საოცარის სისწრაფით“ იკიდებს ფეხს ჩვენში, მეორენი მის ოდნაობასა და სისუსტეზე უთითებდნენ. მაგრამ კამათის პირველ ფაზისში ზოგიერთათვის საეჭვო იყო არა მარტო კაპიტალის სისწრაფით განვითარების საკითხი, არამედ თვით კაპიტალიზმის არსებობაც კი. და ჩვენც აქედამ დავიწყოთ საგნის განხილვა.

„მოამბეს“ პუბლიცისტი ბ. ნანეიშვილი ამბობდა „განა შესაწყნარებელია ის აზრი, ვითომ ჩვენში კაპიტალისტური წესწყობილება არსებობს, იმ ქვეყანაში, რომელიც იმაზე ცოტა მეტს ნაწარმოებს იძლევა, რაც მისს მკვიდრთ საკვებად ჰყოფნის და რაც მოწევისთანავე იხარჯება... ნუ თუ მესამე დასის წარმომადგენელთ ვერ შეუტყვიათ, რომ კაპიტალისტური წეს-წყობილება იქ არის დამყარებული, სადაც ერთი წლიდამ-წლამდე თავის თავს ანდომებს სულ მცირე ნაწილს ბუნების შემოქმედ ძალისას, ხოლო უდიდეს ნაწილს კი კაპიტალის შექმნას ანდომებს... ნუ თუ ჩვენში კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს, როცა ქარხნები და ფაბრიკები არა გვაქვს და არც ერთს წარმოებაში მაშინებს არა ვხმარობთ და მცირეოდენ რასმე თუ მიაღწევთ ხოლმე შინაობაში სახმარებელზე მომეტებულს, ისიც იმ სახით, რა სახითაც ბუნებას ჩვენთვის მოუცია, უცხოელებს მუქთად უნდა დაუთმოთ? ნუ თუ კაპიტალისტურ წეს-წყობილებამდე მიღწეულნი ვართ, როცა ჩვენმა მემამულემ, რომელსაც სივრცით საკმაო მამული აქვს, ლამის არის შიმშილში სული დალიოს და ერთი ავდარი ან გვალვა რომ ეწვიოს, რამდენისამე წლის განმავლობაში წელში ვერ გაიმართოს? ყველა ამის შემდგომ ბ. ჯიბლაძე გვეუბნება: ჩვენში ბურჟუა-კაპიტალისტები დამკვიდრებულანო და „კვალიც“ ბანს აძლევსო. ამაზე ს. ჯიბლაძე ასეთ პასუხს აძლევდა: „აწინდელი კაპიტალისტური წეს წყობილების უმთავრესი ნიშანი იმაში კი არაა, რომ ქვეყანამ გაგზავნოს საზღვარ-გარედ უმეტესი ნაწილი თავის ნაწარმოებისა, არამედ იმაში, რომ ქვეყნის მკვიდრთა უმრავლესობა იძულებულია უმეტესი ნაწილი თავის ნაწარმოებისა დაუთმოს უმცირესს ნაწილს[1]) „დაუთმოს“ არა ყმამ, არ მონამ, არამედ იურიდიულ თავისუფალმა მოქალაქემო[2])“. მაგრამ ბ. ნანეიშვილზე ეს არგუმენტი არა მოქმედობს და იგი განაგრძობს: კაპიტალისტური წეს-წყობილება ფეხს იქ იკიდებს და იზრდება, სადაც მუშა ხალხი იძულებულია თავისი ძალ-ღონე და არა ამ ძალ-ღონის ნაწარმოები ბაზარში გასასყიდლად გაიტანოს... მუშა ხალხი რომ ასეთს ყოფაში ჩავარდეს, საჭიროა, რომ ბინადრობა, ადგილ-მამული, შრომისა და წარმოების იარაღი, სახსარი ხელიდან გამოეცალოს: აი, სადაც ხალხი ამ გაჭირვების ყოფაში მოექცევა, კაპიტალისტური წეს-წყობილება ფეხს იკიდებს. ეს თავი და თავი პირობა კაპიტალისტურის წეს-წყობილებისა ჯერჯერობით ჩვენში არ არსებობს და ჩვენი ხალხი, ღვთის მადლით, ჯერჯერობით მამულიანია და გამამულიანებას ცდილობს, თავისის ძალ-ღონის ბატონი და პატრონია და თავის მცირე ნაწარმოებს თვითონვე ჰყიდის, ჩვენის სამეურნეო კულტურის იარაღი, სახსარი ჯერ-ჯერობით ხელიდან არ გავარდნიაო[3])“. ს. ჯიბლაძე უხსნის „მოამბის“ პუბლიცისტს, რომ არც ეს არის ნიშნობლივი თვისება კაპიტალისტურ წყობილებისა. „ეს წყობილება, ამბობს ის, ნიშნავს აწინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც დაყრდნობილია საქონლის წარმოებაზე. სიტყვა **საქონელი** კი ნიშნავს ყველა შრომის ნაყოფს, რომელმაც უნდა გაიაროს ალებმიცემობის კახრაკები, მიუხედავად გამოვიდა ეს ნაწარმოები ქარხნის კარებიდან, თუ ტყიდან, დედა-მიწის გულიდან, თუ მისი ზედა-პირიდანო[2]). რომ როგორმე დაიყოლიოს მოპირდაპირე ს. ჯიბლაძე ამნაირად არკვევს საგანს: „მარტო სიბრმავეს შეუძლიან არ დაგვანახვოს ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენი ცხოვრებაც იმავე გზას დაადგა, რომელიც უკვე გათელეს დაწინაურებულმა ერებმა. აქ, როგორც ამბობს მარქსი, უმაღლეს და უმდაბლეს განვითარების ხარისხზე კი არ არის საქმე, რომელიც კაპიტალისტურ წარმოების ბუნებრივ კანონებისგან წარმოსდგებიანო, საქმე თვით ამ კანონებშია, მათ მიმართებაშია, რომელიც რკინის გულსავით შეუბრალებლად მოქმედებენო. აი ეს ტენდენცია, ეს თვისება ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობისა გვქონდა ჩვენ მხედველობაში და არა მისი განვითარების რაოდენობაო[3])“.

დღეს დანამდვილებით შეიძლება იმისი თქმა, რომ ამ კამათში სიმართლე ს. ჯიბლაძისა და მის ამხანაგებისაკენ იყო. ბატონ-ყმობის განთავისუფლებას და მოქალაქობრივ წყობილების დამყარების შემდეგ ჩვენი ცხოვრების ტენდენცია სწორედ რომ ამ ხასიათისა იყო. ოთხმოცდაათ წლამდე იგი ბუნდოვანად სჩანდა, იმ დროს კი, როდესაც რკინის გზები გაიყვანეს ჩვენს მხარეში, მადნეულობის და ნავთის წარმოება დაიწყო, როდესაც ჩვენს სოფელში, თვით გლეხ-კაცობაშიაც კი დიფერენციაციის ნიშნები დაეტყო და რომ ქალაქებშიაც წვრილ-ვაჭრებმა მოიკიდეს ფეხი—ტენდენცია კაპიტალისტურ განვითარებისაკენ აშკარა გახდა და მისი არ დანახვა ჰნიშნავდა ჩვენი ცხოვრების ნიშნობლივ თვისებების არ დანახვას. სხვათა შორის, აქ არის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ახალის დასისა, რომელმაც ეს ახალი სიტყვა სთქვა ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობაში.

ქვემოდ ვნახავთ, რომ 1895 წლის „ივერიის“ ხელმძღვანელნი ლალი და ვ. წ. ამ დებულებას არ ეკამათებოდნენ. ისინიც აღიარებდნენ კაპიტალიზმის შემოსვლას ჩვენში, ხოლო მათი პოზიცია იყო სხვაგვარი და მათი საბუთებიც სხვანაირი. ხოლო ამ მწერლების აზრთა გაგებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ მარქსისტული ბანაკი ფაქტის და ტენდენციის აღიარებაზე არ გაჩერებულა. მის აზროვნებას თანდათან ევოლუცია ეტყობა და ეს ევოლუცია გაცილებით უფრო ჩქარის ნაბიჯით მიექანებოდა წინ, ვიდრე კონკრეტული სინამდვილე იცვლიდა თავის იერს და ფერს. აქედან იწყება, როგორც აშკარა შემცდარ აზრთა ქადაგება, ისე კამათის განცხოველება და გამწვავება.

1) იხ. ი. ფანცხავა. თხზულებანი, გვ. 95. ვისაც აინტერესებს თეორიული ხასიათი იმ დროინდელ პოლემიკისა, ძლიერ გამოადგება ფხას ნაწერების გაცნობა—ისტორიის ფაქტორები, ცხოვრება და მწერლობა, ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრება. იხ. ფანცხავას თხზულებანი.

1) „მოამბე“ X 1894 წ.
2) „კვალი“ N 14. 1895 წ.

1) „მოამბე“ X 1895 წ.
2) „კვალი“, 1895 წ. № 13.
3) იქვე.

ქართ. თეატრის შენობა აქვს ადებულ ქართ. დრამატ. საზ. 1913 წლამდის იჯარით 16000 მან., რომელიც ნაწილ-ნაწილად უნდა გადახადოს ხელ-შეკრულობაში აღნიშნულ სხვა და სხვა ვადებზედ. დრამატიულმა საზოგადოებამ თავის დანაპირები ვერ შეასრულა. მაგრამ წლევანდელმა სეზონმა უფრო ნაყოფიერად ჩაიარა. ეს იმედს გვაძლევს, რომ შემდეგს სეზონში საქმე გამობრუნდება, და დრამატიული საზოგადოებაც შესძლებს ვალის გადახდას. ამ მოსაზრებით, დეპუტატებს და მარშლებს შესაძლებლად მიაჩნიათ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თხოვნის დაკმაყოფილება.

კრებაზედ ამ დადგენილების წინააღმდეგი არავინ აღმოჩნდა, და წინადადება ერთხმად იქმნა მიღებული.

მეორე საკითხი შეეხებოდა 1000 მ. გადადებას იმ თავ.-აზ. წარმომადგენელთა სასარგებლოდ, რომელნიც მუშაობენ სამაზრო კომისიებში და რომელთაც დავალებული აქვთ სახელმწიფო მოხელეებთან ერთად ცნობაში მოიყვანონ ბრიკაზში დაგირავებულ მამულების მდგომარეობა.

ამ საკითხის შესახებ მომხსენებელი იყო თ. **დ. ჩოლოყაშვილი**, რომელმაც კრებას დაახლოვებით შემდეგი გადასცა: მარშან კრების დადგენილებით და თავ.-აზნ. თხოვნით ნამესტნიკის შემწეობით შესდგა საგუბერნიო კომისია სახელმწიფო ბანკის გამგის ბეზობრაზოვის თავმჯდომარეობით. ამ კომისიას მიენდო ბრიკაზში დაგირავებული მამულების მოწესრიგება და მათი საბოლოო ლიკვიდაცია. საგუბერნიო კომისიამ ამ საქმის უკეთესად დასაყენებლად საჭიროდ სცნო ადგილობრივ კომისიების შედგენა. მთავრობამ საჭირო ფული გადასდო მომუშავეთათვის და კომისიის წევრნიც გასამრჯელოს იღებენ, მაგრამ ადგილობრივი კომისიების მუშაობა ძალიან ფერხდება, რაც უნდა აიხსნას იმითი, რომ ჩვენი წარმომადგენლები კრებას არ ესწრებიან. მიზეზი დაუსწრებლობისა ის არის, რომ მათ სამგზავრო ფული არ ეძლევათ. ამიტომ საქმის ინტერესი მოითხოვს, ის მიზეზი ავიშოროთ და ჩვენი წარმომადგენლების სასარგებლოდ ჯერ-ჯერობით გადავდოთ 1000 მან.

ამ საკითხმა კამათი გამოიწვია:

**თ. გ. ამირეჯიბი და მაღალაშვილი** წინააღმდეგნი არიან ამ ხარჯისა; უკანასკნელის აზრით ეს ფული უნდა დაეკისროს იმ პირთ, ვისიც მამული დაგირავებული, ამათ უნდა მიეცეთ წინადადება გამოიღონ საჭირო ხარჯი და ამასთანავე დასძინს, რომ საქმე მეტად რთულია და საჭიროა წარმომადგენლად იურისტი, რომელიც უნდა იქმნეს კომისიაში მოწვეული.

**კ. სვიმონოვიც** წინააღმდეგია ამ ფულის გადებისა და ამბობს ჩვენს წარმომადგენელსაც ხარჯის ფული უნდა სახელ. მოხელეებთან ერთად მიეცეთ ხაზინიდანო.

**კ. ხერხეულიძე** ბრიკაზში დაგირავებულ მამულების საქმეს მეტად არეულად სთვლის და ამბობს, თუ კიდეც დარჩება სახელმწიფოს, ამით არაფერს არ წავაგებთ, რადგანაც ბრიკაზში დაგირავებული მამულის რაოდენობა გაცილებით მეტია აღნიშნული, ვიდრე იგი სინამდვილით არსებობს, მეორეც, ეს დაგირავებული მამულები უკვე სხვა და სხვა პირების ხელშია გადასული და თ.-აზნ. რა აწუხებს და რად უნდა გაიღოს 1000 მ., არ მესმისო.

**დ. ვაჩნაძე** თხოულობს გააგებინონ კრებას საზოგადო მნიშვნელობა დაგირავებულ მამულებისა: რაოდენობა, ვალი, და ვის ხელშია ამ ჟამად.

**ვლ. ვაჩნაძე.** რიცხვი დაგირავებულ მამულისა დაახლოვებით უდრის 300 მამულს სადაც სცხოვრობს 300-მდე კომლი თავ.-აზ., ვალი აღემატება 1,100,000 მანეთს. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბრიკაზის წესდების ძალით ის მამული, რომელიც მთლად არ არის დაგირავებული, მაინც მთლად ხელშეუხლებლად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ვალი არ გადაიხდება, მაშინ ცხადი იქნება, რამდენად დიდია ტერიტორია, რომელიც ბანკს ხელთ არის. ცხადია მისი საზოგადო მნიშვნელობაც; ჩვენ კომისიაც კი გვაქვს დაარსებული მამულების ჩვენს ხელში შესანარჩუნებლად და ამოდენა მამულისთვის კი 1000 მან. კი არ გინდათ გადაიხადოთ. რაც შეეხება იმ აზრს, ვითომ მომეტებული წილი უკვე სხვის ხელშია, უნდა გითხრათ, რომ ეს სხვა ჩვენი გლეხობაა, და ამ მამულების ბრიკაზედ დარჩენა, ამათი მამულების ჩამორთმევა იქნება.

ილაპარაკეს სხვებმაც, რომელთაც ახალი არა უთქვამთ რა. ბოლოს ამ საკითხს კენჭი უყარეს და წინააღმდეგი ამ ფულის გადების მხოლოდ ორი აღმოჩნდა.

კრება დამთავრდა 3 საათზე.

# რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**ტოკიო.** ოფიციალური „კოკუმინი" რუსეთ-ჩინეთის უთანხმოების უმთავრეს მიზნად ურიანხაინხაის ნაწილში მიჯნების გაურკვევლობასა სთვლის.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ: ხან-გრძლივ და სერიოზულ თათბირის შემდეგ ვაი-ვუბუმ რუსეთის ელჩს განუცხადა, რომ ჩინეთი რუსების მოთხოვნილებებს ორშაბათს უსათუოდ დააკმაყოფილებსო. ასეთი გადაწყვეტილება ჩინეთისათვის იძულებითია, რადგანაც იგი საომრად ჯერ მომზადებული არ არის.

**ხაბაროვსკი.** ამაღელვებელ ხმების გამო, რუსები პოლიციის ხელმძღვანელობით რაზმებს აღგენენ. მათი ოჯახობა მრავლად მიდიან ზაბაიკალისა, ვლადივასტოკს და სამხრეთ-მანჯურიის გზებზე.

**პეტერბურგი.** საიდუმლო დეპეშა გარეშე საქმეთა სამინისტროს სამხედრო მმართველისა რუსეთის პეკინელ ელჩისადმი: პეტერბურგი, 10 მარტი 1911 წ. უკანასკნელ თვეში გართულმა მოლაპარაკებამ საიმპერატორო მთავრობა დაარწმუნა, რომ ჩინეთის მთავრობა გაჩუმებითა და ორჭოფულ პასუხებით სცდილობს უარ-ჰყოს რუსების მიერ 3 თებერვლის გაგზავნილი ნოტის დებულებანი. იმ პასუხის მიხედვით, რომელიც საიმპერატორო ელჩს 6 მარტს იმპერატორს გადასცა, ნათლად სჩანს, რომ ჩინეთი ერთი მხრით განმეორებულ (მოთხოვნებს?) აკმაყოფილებს და თანახმაა, რომ კობდოს ოლქში საკონსულოს დაარსება სადამოენო ბაჟების დაწესებასთან არ უნდა იყვეს დაკავშირებული, მეორის მხრით, სხვა საკონსულოებზე არას ამბობს. ამათი დაწესება კი პეტერბურგის ხელშეკრულების მეათე მუხლის ძალით უნდა მოხდეს. ჩინეთის მთავრობა არას ამბობს აგრეთვე იმ მონოპოლიებზე, რომლებსაც სინციანის პროვინციაში სახელმწიფოთა ტრაქტატების წინააღმდეგ აწესებდა. ამავე დროს ჩინეთის მთავრობა ამბობს, რომ ადგილობრივ საქონლით ვაჭრობა რუსებს იმავე პირობებით შეეძლებათ, რა პირობითაც ჩინელები ვაჭრობენო, და ხელ-შეკრულების იმ მუხლზე კი არას ამბობს, რომელიც რუსის ვაჭრებს მონგოლეთსა და დასავლეთ ჩინეთში უბაჟოდ ვაჭრობის ნებას აძლევს. საიმპერატორო მთავრობა ამ ნაირ მოლაპარაკებაში უნაყოფობასა ჰხედავს; ამ მოლაპარაკებით ჩინეთის მთავრობა რუსებისადმი ხელშეკრულებათა მიერ მინიჭებულ უფლებათა შეზღუდვას იმ ნაირ მიზეზებითა სცდილობს, რომ ბოლოს იძულებულია ეს მიზეზები თითონვე უარჰყოს. ამის გამო საიმპერატორო მთავრობა იძულებულია ასეთ მოლაპარაკებას ბოლო მოუღოს და ჩინეთის მთავრობასა სთხოვს რუსეთის ნოტის ყველა მოთხოვნილებანი ფორმალურად დაადასტუროს და ხელშეკრულებას შეუფარდოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება საიმპერატორო მთავრობას დასთანხმდეს და ცალკე გამართოს მოლაპარაკება ბაჟების შემოღებასა, ჩაით ვაჭრობასა და 1881 წ. ხელშეკრულების სხვა კერძო ცვლილებათა შესახებ. საიმპერატორო მთავრობა თანახმაა თავის ამ ნოტის (პასუხს?) 15 მარტამდის უცადოს (ძველი სტილით). თუ ამ ვადაზე პასუხი არ მოვიდა, საიმპერატორო მთავრობა მოქმედებათა თავისუფლებას იტოვებს და ჩინეთის მთავრობას, ჯიუტობისათვის პასუხის მგებლობას მოსთხოვს.

---

ბრიუსელიდან იტყობინებიან: ჩინეთის მისიაში სთქვეს, რომ რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება მორიგდებაო. ბირჟაზედაც დამამშვიდებელი ხმები მოვიდა.

---

ჩინეთის მთავრობამ მე-8 ე დივიზიის უმფროსი გენერალი ხიო საჩქაროდ პეკინში დაიბარა. დაბარებულნი არიან აგრედვე პეკინის გარშემო მყოფ ჯარების უფროსები. ჰფიქრობენ, რომ ძალიან დიდ საკითხების გადასაწყვეტად სამხედრო საბჭო იქმნება მოწვეულიო. როგორც ამბობენ, ვიცე-კოროლი ატყობინებს მთავრობას: მანჯურიის საზღვრებზე რუსის ჯარები დგანან და მზად არიან პირველ ბრძანებაზევე მანჯურიაში შევიდნენო.

---

ტაშკენთიდან იტყობინებიან: კულჯაში მყოფი რუსის კონსული ჯარკენთში წავიდაო.

---

ფორიანში შეგროვილ სოფლელთა გაწრთვნა დაიწყო. სწრთვნიან აგრეთვე სოფლებში შეგროვილ მილიციებს.

ახლო-მახლო სოფლებიდან გლეხებს ცხენები მოჰყავთ. ცხენებს ჩინელების მმართველები ჰყიდულობენ. ალბად ცხენოსან პარტიზანთა შესავსებად უნდათ.

---

დოლნში ორი გემით ჯარები მოვიდა. ჯარები სამხრეთ-მანჯურიის გზების საყარაულოდ არის დანიშნული.

---

შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა ტაფტმა რუსეთ-ჩინეთის მორიგებაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა განაცხადა.

საიმედო წყაროებიდან ხარბინში გაუგიათ, რომ ოთხ მარტს, ჩინეთის მთავრობა თანახმა იყო რუსების ყველა მოთხოვნილებებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი მოეცათ. 5 მარტს ვაი-ვუბუს თავმჯდომარემ ამაზე უარი სთქვა. რუსეთის მისიამ პეკინში ეს ცვლილება მალე გაიგო. ჩინეთის სახელმწიფო და სამხედრო საბჭომ დაადგინა: ჩინეთისათვის სამარცხვინო პასუხს ხელი არ მოვაწეროთო.

იაპონელთა ხარბინელ დიპლომატიურ წრეებში სხვანაირი ხმაა გავრცელებული. ამბობენ: ჩინელების დიდებულთა კრებამ, რომელსაც რეგენტი თავმჯდომარეობდა 11 დღეს გასტანა. ამას შემდეგ ჩინელებმა რუსებს მეგობრული და დაპირებით სავსე ნოტა ჩააბარეს, მაგრამ ნოტა რუსეთის მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებსო.

---

„რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტი იტყობინება, თუ როგორ გავრცელდა ხმა რუსეთის ელჩის კოროსტოვეცის სიკვდილის შესახებ. ხალხის დიდი ბრბო პეკინში კეტელერის ძეგლთან შეგროვილა. კეტელერი გერმანიის ელჩი იყო. ჩინელები ძალიან აღელვა იმ წარწერამ, რომელიც უცხოელის ძეგლს აწერია: აგებულია ბოგდიხანის ფულით და თაოსნობითო. ბრბო ძეგლის დამსხვრევასა თხოულობდა; შემდეგ იგი რუსეთის საელჩოს შენობისაკენ გაემართა: ევროპიელთა საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოხდენასა ჰლამობდა, მაგრამ ცხენოსანმა ჯარმა გაჰფანტა. ამას შემდეგ გავრცელდა ხმა, რუსეთის ელჩს შეურაცყოფა მიაყენესო, ზოგი ამბობდა, მოჰკლესო. ერთმა ჩინურმა გაზეთმა ეს ხმა შეუმოწმებლად დასტამბა და კორესპონდენტებმა ქვეყანას მოსდეს.

---

ჩინელების გაზეთები თხოულობენ რუსეთს უარი ვუთხრათო. ძველებური პოლიტიკა არ შეცვლილა. ჯარებს აგროვებენ. მანჯურიის ვიცე კოროლმა გაზეთებს უბრძანა ჯარების მოძრაობის შესახებ არაფერი დაიბეჭდოსო.

---

უკანასკნელ ცნობებით, შანხაიგუანში 40.000 ჯარის კაცია. ჯარები მანჯურიისაკენ მიდიან. ხაილარიდან 100 ვერსის მანძილზე, სამხრეთით, როგორც ეტყობა, ჩინელების პირველი ჯარი გროვდება.

---

ციციკარის ბიუროს თავმჯდომარე, რომელსაც სურსათის შეგროვება და ჯარზე ზრუნვა აქვს ჩაბარებული მუკდენში წავიდა, რათა ვიცე-კოროლს, ვიდრე იგი პეკინში ვიცე-კოროლთა კრებაზე წავა, საქმის ვითარება მოახსენოს.

---

როგორც ვსთქვი, ახალ დასს ჰქონდა სათქმელი ახალი სიტყვა. და ეს ახალი სიტყვა მარტო თეორიული ხასიათისა არ იყო. ამ ხანაში პირველად გაისმა ლაპარაკი **მუშა ხალხის** შესახებ, პირველად აღნიშნეს პროლეტარიატის გაჩენა საქართველოში, პირველად იწყეს ლაპარაკი ამ ახლად გაჩენილ ჯერ კიდევ ნორჩ კლასის ბრწყინვალე მისიაზე. და თუ რაიმე ჩასაწერია ისტორიის წიგნის ფურცლებზე სწორედ ეს ახალი მოვლენაც უნდა იყოს ჩაწერილი. სხვა საკითხია ამ მოვლენის განვითარების და წინსვლის საფეხურების შესწავლა და განმარტება. აქ შეგიძლიანთ ბევრში არ დაეთანხმოთ, ბევრი რამ უარ-ჰყოთ, მავნებლადაც აღიაროთ. ხოლო თვით ფაქტი ახალი მოვლენის არსებობისა და მნიშვნელობისა ჩვენს ცხოვრებაში უტყუარი ფაქტია და, ვიმეორებ, აქაც კვალის ჯგუფს ეკუთვნის დაფნის გვირგვინი. მაგრამ საქმე მარტო მოვლენის აღმოჩენასა და დასახელებაში არ ყოფილა. საქმე იმის გამოცნობაშია, თუ რა ადგილი უჭირავს ახალ მოვლენას სხვა მოვლენათა რიგში და რა ძალა და მნიშვნელობა ეკარგება ამ მოვლენას იქ, სადაც მის განვითარებისათვის საჭირო მატერიალური პირობები არ არის. როცა ამ ხასიათის ცოდნა დაჩრდილულია, ადვილად შესაძლებელია გზის დაკარგვა და ცხოვრების დაფასებისათვის საჭირო ალღოს შესუსტება. ჩვენს დასს, მეტ-ნაკლებობით, ეს საქმე დაატყდა თავს. აზრი უკვე მომწიფებული იყო, ცხოვრება კი ჯერ დაუმუშავებელ მასალას მიაგავდა, ახალი სოციალ-პოლიტიკური სისტემა მზად იყო, როდესაც მის განხორციელებისათვის ჯერ კიდევ საჭირო ელემენტები არ მოიპოვებოდა. აზრი უსწრობდა სინამდვილეს და რადგან იგი (აზრი) მეტად ლამაზი და მომხიბლავი რამ იყო, ამიტომ სინამდვილის მაგიერობას იგი უწევდა...

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ ჩვენს წყაროებს. დიდი ხანი არ გავიდა, რაც ს. ჯიბლაძე არწმუნებდა თავის მოკამათეებს, საქმე კაპიტალიზმის განვითარების სიძლიერეში არ არის, საქმე ამ განვითარების ტენდენციაშია, რომელიც ჩვენს ცხოვრებაშიაც აღმოჩნდა—და მალე, კამათით გატაცებულმა, აღიარა: „ჩვენში არამც თუ მომზადებულია კაპიტალიზმის უმაღლეს საფეხურზე ასავალი ნივთიერი ნიადაგი, ჩვენ კიდეც ავფორთხლით ამ საფეხურზეო[1])". რაიც შეეხება პროლეტარიატს, „ჩვენი პროლეტარიატი, ამბობდა იგი, არეულ სხეულს წარმოადგენს. აქ უმეტესობას მცირე მამული აქვს, რომელიც მხოლოდ მესაკუთრის სახელს აძლევს, ნამდვილად კი გაღატაკებული ბოგანოა. ესენი მუშა ხალხია, რომლის ბედ-იღბალი დამოკიდებულია, როგორც საქონლის, ისე მუშათა ხელის ბაზარზე. ესენი სრულს გაპროლეტარების გზას დაადგნენო" (იქვე). აზრის დასამთავრებლად კიდევ აი რა: „ცხოველ-მყოფელი ძალა ახალი ხანისა, მისი სპეციალური თვისება იმ გარემოებაში იხატება, რომ როგორც დაბა-ქალაქებში, ისე სოფლებშიაც იბადება სავაჭრო კაპიტალი, რომ ერთი მხრით ეს თანხა და მეორე მხრით— ღარიბ გლეხის ხელიდან შრომის იარაღის, მამულის გამოცლა,—შეადგენენ **Conditio sine que non** სამრეწველო თანხას, რომ ეს მოვლენა ჩვენში დღე-დღეზე ვითარდება და მით ნიადაგი ეწმინდება უმაღლეს ფაზისს კაპიტალიზმის განვითარებისასო"[2]).

1) კვალი N 14. 1895 წ.

ერთის სიტყვით, ლაპარაკია უკვე კაპიტალიზმის **უმაღლესს განვითარებაზე,** ლაპარაკია გლეხების მიერ მამულის დაკარგვაზე და რომ ეს პროლეტარიზაცია აუცილებელი პირობაა სამრეწველო კაპიტალის განვითარებისა. პროლეტარიზაციის საკითხი გადაწყვეტილია, მაშასადამე, გადაწყვეტილია სხვა დანარჩენი საკითხებიც. სწორედ ეს აჩქარება ჰქონდა მხედველობაში ბ. ფხას, როდესაც აგონებდა მარქსისტებს მარქსის მიერ განთქმულ გაფრთხილებას: „სანამ პროლეტარიატი განვითარებული არ არის იმდენად, რომ ცალკე კლასი შეადგინოს; სანამ, მაშასადამე, თვით ბრძოლას პროლეტარიებისა და ბურჟუებს შორის პოლიტიკური ხასიათი არა აქვს და სანამ ბურჟუაზიული მრეწველობის ნიადაგზე მწარმოებელი ძალა იმდენად ვერ განვითარებულა, რომ პროლეტარიატის განსათავისუფლებლად და ახალი უმაღლესი საზოგადოებრივი წეს-წყობილების დასამყარებლად საჭირო მატერიალური პირობანი გამონახულ იქმნენ,—მანამდის თეორეტიკები მხოლოდ უტოპისტებს წარმოადგენენო". (**Misère de la philosophie.**)[1]) ამ ხასიათის უტოპიზმი მუდმივი თანამგზავრი იყო ჩვენი „დასელებისა". ვნახოთ ახლა, რას ჰფიქრობდნენ ამის შესახებ „ივერიის" მეთაურნი ვ. წ. და ლალი.

ვ. წ. კაპიტალიზმის შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში არ უარჰყოფს, თუმცა მას უფრო ჩვენი მეურნეობის ნაციონალისტური ხასიათი აგონდება ხოლმე. იცის, რომ ნაციონალისტური მეურნეობა კაპიტალიზმს ვერ გაუძლებს, თანაც ეშინიან, ვაი თუ უარესი დღე დაგვაყენოს კაპიტალიზმმაო. „დიაღ, ძნელია მდგომარეობა ნატურალისტურის წარმოებისა ამბობს ვ. წ.: ვერ გაუძლებს იგი კაპიტალიზმს, ამიტომ შეუძლებელი იქნება ჩვენთვის ნატურალისტური წარმოების დაცვა კაპიტალიზმისაგანო[2])... ჩვენში კაპიტალიზმი არ არის თქო, რომ ვამბობთ, ამითი იმას კი არ ვამბობთ, რომ ეს ჩვენთვის კარგია, გასახარელია-თქო. პირ-იქით, აღვიარებთ, რომ ჩვენს ნაციონალისტურ ყოფაში ძნელია კაპიტალიზმთან ბრძოლა. და ვაი თუ კაპიტალიზმმა, მოსპოს-რა ჩვენი ნატურალისტური წარმოება, სანაცვლოდ მხოლოდ ცუდი მხარეები შემოიტანოსო[3])". ეს შიში მომავლისა თან სდევს ვ. წ. ნაწერებს. ამ შიშის საფუძველი ის იყო, რომ ჩვენი ავტორის აზრით „კაპიტალიზმი ცდილობს დაქვეითებული და პოლიტიკურად დაუძლურებული ქვეყნები თავის მეწველ ფურად გადააქციოს. იგი ცდილობს და ეცდება, რომ გაგვალარიბოს, გაგვაღატაკოს და თითონ გამდიდრდეს; ეცდება, რომ მადნებში შეგვრეკოს, ჩვენს სახნავ-სათესზე ხელი აგვაღებინოს და პლანტანციები გააშენოს; ეცდება ყოველიფერი ხელიდან გამოგვაცალოს და ცარიელზე დაგვსვასო[4])".

1) № 13.

2) ი. ფანცხავა, თხზულებანი, გვ. 47.

ეს მოსაზრება არც ისე უნიადაგო იყო. ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო „მესამე წოდება". თუ დატრიალდა კაპიტალი, ეს იყო უცხოელების კაპიტალი. და უცხო კაპიტალის მნიშვნელობა ეროვნულ ცხოვრების ფარგლებში გაცილებით უფრო საშიში და მავნებელია ვიდრე ეროვნულ კაპიტალის მნიშვნელობა. მართალია, კაპიტალი-კაპიტალია. მისი საექსპლოატაციო ძალა არა მცირდება იმის გამო, რომ იგი მომბლიური ხასიათისაა. ხოლო ეროვნული კაპიტალის უპირატესობა გამოიხატება, განსაკუთრებით დაქვეითებულ ერთა ცხოვრებაში, იმაში, რომ იგი ხდება იმ საჭირო ორგანოდ ეროვნულ სხეულის ორგანიზაციაში, ურომლოდაც შეუძლებელია ორგანული განვითარება ეროვნულ ცხოვრებისა.

2) „ივერია" 73 1895 წ.

3) იქვე. 4) იქვე.

მაშ ვ. წ. არ უარ-ჰყოფს კაპიტალიზმს. ხოლო ამასთან არკვევს იმასაც რომ ჩვენში უფრო „შოვნითი" მრეწველობაა (**добывающая промышленность**) და არა „მკეთებელი" მრეწველობა (**обрабатывающая**). „იმ ქვეყანაში, სადაც მარტო შოვნითი მრეწველობაა, ცხოვრება უფრო მოდუნებული, უცვალებელი, გაშეშებულია, ვიდრე იქ, სადაც მკეთებელი მრეწველობა არის. ამიტომ შოვნითი მრეწველობა წარმოადგენს უმდაბლეს ფორმას კაპიტალიზმისასო"..[1]) „ჩვენში ახლა გარდამავალი დროა... აი ამიტომ ვხედავთ ჩვენში ნასახს კაპიტალიზმისას, ფულით ეკონომიას და ნატურალიზმს, ერთად შეერთებულთო". (იქვე).

ვ. წ—ს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნანეიშვილისავით არ უარ-ჰყოფდა ახალ ეკონომიურ ცხოვრების ფორმების შემოსვლას ჩვენში, ისეთივე სიცხარით დაეტაკნენ მარქსისტები, როგორც საზოგადოთ ყველას, ვინც მათ აზრს ეწინააღმდეგებოდა. აქ შეტაკება აუცილებელი იყო იმიტომ, რომ „სად დასელების საკვირველის სისწრაფით" კაპიტალიზმის ზრდა და სად ვ. წ—ისა „მხოლოდ ნასახი კაპიტალიზმისა!" მაგრამ შეტაკების საბუთი სხვაც იყო. რაკი ვ. წ—ს აზრით ჩვენში მხოლოდ ნასახი კაპიტალიზმისა იყო, ამიტომ „კლასთა შორისი ბრძოლა ჩვენში არც შეიძლება და არც საჭიროაო. ჩვენ უნდა ვეცადოთ, ამბობდა ის, ერთი და იგივე იდეალი მომავლისა გავავრცელოთ ჩვენის ერის ყველა ნაწილებშიო"[2]).

1) „ივერია", № 148. № 1895 წ.

ვ. წ. ჰგულისხმობდა, რასაკვირველია, ეროვნულ იდეალს, რომელიც ერს უნდა ჰქონდეს წამოყენებული. მაგრამ ეროვნულ იდეალის წამოყენება შეუძლიან მხოლოდ ერის იმ ელემენტებს, რომელთაც აქვთ მომავალის იმედი. ჩვენს წოდებრივ წყობილებაში კი ყველას არ ამხნევებდა ამ მომავლის იმედი, ერის ერთი ნაწილი (თავად აზნაურობა) დაქანებულის ნაბიჯით უკან-უკან მიდიოდა და ფრიად ძნელი იქნებოდა ამ უდღეო ელემენტებზე მომავალ იდეალის აშენება. ასე რომ ამ მხრივ პრინციპიალური სიმართლე „კვალის" ჯგუფისკენ იყო. თუმცა, მეორეს მხრივ უნდა იყოს აღნიშნული ისიც, რომ, გატაცებული წმინდა ეკონომიურის ბრძოლით და საკითხებით, ეს ჯგუფი შორს იყო ეროვნულ იდეალების შემუშავებასა და ეროვნულ პოლიტიკურ ფორმულის წამოყენებაზე. აქედამ გამომდინარეობდა მისი ტაქტიკური შეცდომა კლასთა ბრძოლის სიმკაცრის დაცვის დროს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ეს აშკარად ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ რაკი ეგონათ, რომ კაპიტალიზმი „სთოცარის სისწრაფით" იზრდებოდა, საკვირველი არ არის, რომ კლასთა ბრძოლის გამწვავებასაც ამ თვალით უყურებდნენ.

სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ლალს, როდესაც იგი გამოვიდა სალიტერატურო ბრძოლის მოედანზე „კვალის" წინააღმდეგ. მან ხაზი გაუსვა პოლიტიკურ-ეროვნულ მომენტს, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში ჯეროვანი ადგილი უნდა ეჭიროს და რომელსაც უნდა ჰქონოდა გავლენა თვით კლასთა ბრძოლის პრინციპის ვითარებაზე.

**არჩილ ჯორჯაძე.**

(დასასრული იქნება).

2) „ივერია", № 142.

იარაღი, რომელიც ციციკარის გუბერნატორს მოუვიდა, ზოგი მდგილობრივ ჯარს დაურიგდა, ზოგიც სახალისო და აიგუნს გაიგზავნა იქ შემდგარ მილიციისათვის.

„სამონვალოვის“ ახლო მშვენიერად შეიარაღებული ხუნხუზების რამდენიმე ბრბო გაჩნდა. სადგურებს „პოგრანიჩნაი“ და „მანჯურიას“ დარაჯები მიუმატეს.

მოახლე ჩინელები ხარბინიდან გარბიან. მათში პროკლამაციები გავრცელდა. პროკლამაციები მოახლეებს ურჩევდნენ „თეთრ ეშმაკებს“ თავი დაანებეთ და წმიდა მიწის დასაცველად ჯარში შედითო.

უსაქმოდ დარჩენილი ჩინელი მუშები მანჯურიაში მიდიან, სადაც, მათი სიტყვით, უცხოელების ქალაქები უნდა დაარბიონ და თვით უცხოელებიც ამოსწყვიტონ.

ბლაგოვეშჩენსკიდან იტყობინებიან, საზღვრების შეკვრამ სურსათი გააძვირაო. დამშეული ჩინელები გზებზე დაძრწიან და მგზავრებს სცარცვამენ.

ტოკიოში, ჩინელმა სტუდენტებმა ტოკიოს ელჩს პეტიცია ჩააბარეს. სტუდენტები პეტიციაში ამბობენ, ის მთავრობა, რომელიც ჩინეთისათვის სამარცხვინო პასუხს ხელს მოაწერს, ხალხის თვალში ნდობას დაჰკარგავსო.

კვირის ნომერში მოთავსებული გვქონდა რუსის დიპლომატის აზრი რუსეთ-ჩინეთის უთანხმოების შესახებ. ეხლა ამის გაგრძელებას ვბეჭდავთ.

რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება წელიწადზე მეტია რაც არსებობს და ამ ხნის განმავლობაში რუსებმა მომზადება უკვე მოასწრეს. მათ საზღვრებზე 30 ათასი კაცი ჰყავთ. ჩინელები ამის საწინააღმდეგოდ საკმაო ძალას ვერ გამოიყვანენ. რუსეთი მართალია და მის ენერგიულ მოთხოვნას ვერაფრით ვერ შეაჩერებენ. 1881 წ. პირობით, რუსების ვაჭრებს ნება აქვთ მონგოლეთში ყოველნაირ საქონელით ივაჭრონ აგრეთვე ჩაით. ეხლა ჩინელებმა ნახეს, რომ ეს მათთვის ხელ-საყრელი არ არის. ჩაი ჩინელების საქონელია და სხვებს არ ავაჭრებენ. ამის თაობაზე ხალხის მოძრაობა დიდი ხანია იზრდება და უცხოელთა ჩინეთიდან განდევნის სურვილი მწიფდება. ჩინელებმა რუსებზე იერიში იმიტომ მიიტანეს, რომ დარწმუნებულები არიან: რუსეთი უკანასკნელ ომის დროს დასუსტდა და ჩვენი მიზნის მიხწევა გაგვიადვილდებაო.

ხალხის ამ მოძრაობას პეკინელ მთავრობისათვის უნდა ჩაეგონებინა რომ რუსეთი კულჯის დაჭერას არ დააყოვნებს, და ეს კი ჩინეთის მთავრობას ხალხს აუჯანყებს. ჩინეთის მთავრობას კულჯის საკითხში არავის იმედი არ უნდა ჰქონდეს კულჯა თურქესტანშია და სხვა სახელმწიფოთა ინტერესების სფერაში არ შედის.

ჩინელების ოფიციოზი გაზ. „ნოვოე ვრემიას“ პასუხს აძლევს და გადაჭრით აცხადებს, ჩინელები რუსებს არას დაუთმობენო.

რუსების პეკინელი ელჩი ტელეგრაფით იუწყება, რომ საქმე ძალიან უიმედოდ მიდისო. ჩინელებმა თავის ბაზრად მანხაი-გუანი ამოირჩიეს. იქ 100 ათასი ჯარის კაცი გაიგზავნა. წინედ გაგზავნილი ჯარი ზოგი ბოდუნესაკენ მიდის, ზოგიც მუკდენიდან კირინისაკენ.

პეკინი. მოლაპარაკების დროს, რუსეთის ელჩს უთხრეს, რომ კელეს-იქითა ჩინეთში რუსებს მხოლოდ არა-ჩინური საქონლის შემოტანის და ჩინურ საქონლის გატანის ნდობა აქვთო. ამ დებულობის გამონაკლისს ჩინელები დაითმობათ ანგარიშობენ: როგორც ეტყობა, ჩინელები პასუხს იმ იმედით აგვიანებენ, ეგები რუსებმა თავიანთ მოთხოვნილებანი უკან წაიღონო.

## სახალხ. უნივერს. საზოგადოების კრება

კვირას, 13 მარტს, სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა საერთო კრების გაგრძელება მოხდა ბ-ნ პალმოვის თავჯდომარეობით. კრება ნაშუადღევის პირველ საათზე დაიწყო და უმთავრესი დრო მოანდომა საზოგადოების სკოლების მდგომარეობას გამორკვევასა და საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვას. სკოლების თაობაზე კამათმა დიდხანს გასტანა. ერთნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ საზოგადოებამ ყველა საქმეს თავი უნდა დაანებოს და მთელი ენერგია და ნივთიერი საშუალება მხოლოდ წერა-კითხვის სკოლებს უნდა შეალიოსო. მეორეთა აზრით, საჭიროა ამ სკოლათა გარდა დაარსებულ იქმნეს მეორე ტიპის სკოლები, სადაც მსურველთ იქნები ცოდნის შეძენა შეეძლოთ, რომ უნივერსიტეტის საზოგადოების თაოსნობით გამართული ლექციები მოისმინონ და გაიგონო. კრებაზე აღნიშნულ იქმნა აგრეთვე, საზოგადოების გამგეობა სკოლებს ერთობ უყურადღებოდ ეკიდებაო. კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით გადასწყდა, საზოგადოებამ მხოლოდ წერა-კითხვის შესასწავლი სკოლები აწარმოვოს. საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა, საიდანაც, სხვათა შორის, სჩანს, რომ ქალაქს საზოგადოებისთვის 500 მან. მაგივრად 700 მან. ყოველ-წლიური დახმარება დაუნიშნავს, უცვლელად იქმნა მიღებული. ჯერი მიდგა არჩევნებზე, მაგრამ დარბაზში ისეთი აურზაური ასტყდა, რომ კაცი ვერას გაიგებდა. ზოგიერთებმა განაცხადეს, უკანონოდ მიგვაჩნია, რომ ერთი ჯგუფი თავის კანდიდატების გაყვანას ყოველგვარ გზით სცდილობსო. ბევრმა წევრმა კრების დარბაზი მიატოვა, ამიტომ კრება დახურულ იქმნა და არჩევნები შემდეგ კვირისთვის გადაიდო.

## ბ-ნ გრიგოლ დიასამიძეს

ჩვენსა და „თემის“ შორის ატეხილ კამათის დროს, „თემმა“, სხვათა შორის სთქვა, ვითომც „სახალხო გაზეთის“ წარმომადგენლები ჰყავდეს იმ საზოგადოებრივ ჯგუფში, რომელსაც თ-დი მ. ვ. მაჩაბელი ხელმძღვანელობს. ჩვენმა რედაქციამ პასუხი მოსთხოვა ბ-ნ დიასამიძეს და სთხოვა, ეჩვენებინა თუნდაც ერთი ისეთი წერილი „სახალხო გაზეთიდან“, რომლიდანაც სჩანდეს, რომ გაზეთსა და თ-დ მაჩაბელს შორის რაიმე იდეიური კავშირი არსებობდეს. „თემმა“ არც ერთი ასეთი წერილი არ დაგვისახელა, მხოლოდ დარიგებას გვაძლევს, მოერიდეთ ისეთს პირებს, რანაირიც თავ. მ. ვ. მაჩაბელიაო.

ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, „თემს“ რომ ჩვენს შეკითხვაზე გაეცა პასუხი. მაგრამ მისი ხელმძღვანელი ისეთ მოუფიქრებლობას იჩენს, რომ გვეშინიან უფრო შორს არ შესტოპოს და უფრო მოუფიქრებელი სიტყვები არ წამოისროლოს. ამიტომ ვსთხოვთ, თუ არსებითად ვერ შეუძლიან წერა, ჩვენს შეკითხვაზეც სულ ნუ გაგვცემს პასუხს, რადგანაც ისეთს წერილებს, რანაირსაც „თემი“ ჰბეჭდავს ჩვენს წინააღმდეგ, ამიერიდან სრულიად უყურადღებოდ დავსტოვებთ ხოლმე.

**რედაქცია.**

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მარტი.

**საზღვარ-გარედ.**

**პრეზიდიო** (ტეხასი). ჩიგუაგუას მახლობლად მეამბოხეებმა მთავრობის ჯარი დაამარცხეს. ჯარს 160 კაცი მოუკლეს.

**მექსიკა.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ კაბინეტის გადადგომა სიმშვიდისა და განზრახულ რეფორმათა განხორციელებისათვის მოხდაო. პრეზიდენტმა დირცმა მინისტრს წინადადება მისცა თანამდებობიდან გადადექითო.

**სტამბოლი.** სახალხო განათლების მინისტრმა ქრისტიანთა სასწავლებლებზე თვალ-ყურის დევნების პროექტი შეიმუშავა. ქრისტიანთა და ოსმალელთა სასწავლებლებს ერთნაირი უფლებები აქვთ. ამის მიუხედავად, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს ოსმალურენის გამოცდასა თხოულობენ. ქრისტიანთა სკოლებში უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს მასწავლებლობის ნება დროებით მიეცათ.

ალბანიაში ქრისტიან-მირიტიდებმა ოსმალეთის საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყეს. მთავრობის მიერ გაგზავნილ ჯარებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**ტრიესტი.** გაფიცულ მეზღვაურთა უმრავლესობამ დაადგინა გემთა პატრონებთან მოლაპარაკება განაგრძონ.

**ფეცი.** მულაი-ჰაფიდმა ზენითის თემის წარმომადგენლები მიიღო. წარმომადგენლებმა განაცხადეს, თემს მახაზენის წინააღმდეგ არ უმოქმედიაო. იგი სცდილობდა, მეზობელი თემები ვეზირ ელგლაუსის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად მიემხროთ. სულთანმა თემს აპატია შერარდის თითქმის მთელმა თემმა მორჩილება განაცხადა.

**ოსილო.** (გიორგის შტატი) როცა ჩქარი მატარებელი მდინარე ალიაპაგას ხიდზე გადიოდა, ხუთი ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა. ამბობენ 4 მგზავრი მოკვდაო.

**ბუქარესტი.** სტამბოლელმა პატრიარქმა რუმინულ ეკლესიისა და სკოლების ავტონომიის საკითხის განხილვაზე იმ დრომდე განაცხადა უარი, ვიდრე რუმინია საბერძნეთის შორის დამოკიდებულება არ განახლდება.

**ტრუა.** მეღვინეთა კომისიამ განაცხადა, ადმინისტრაციასთან დამოკიდებულებანი შესწყდა და მხოლოდ მაშინ განაახლებენ, თუ ობის დეპარტამენტს შამპანში ჩარიცხავენ.

**ნიუ-იორკი.** ცელლულოიდის ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა. ასზე მეტი ახალგაზრდა მუშა ქალი იმსხვერპლა. ქარხანაში სულ 15 ათასი მუშაა.

**სტამბოლი.** საზღვაო მინისტრმა მახმუდ-მუხტარმა საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს განაცხადა, ორი დრედნოუტის აშენება არმსტრონგის ქარხანას მიენდო. ვადა ორი თვეა.

რვა ბატალიონი დედა-ქალაქიდან ალბანეთის სკუტარში გაემგზავრა.

**თავრიზი.** თავრიზიდან განდევნილს, ყოფილ მთავარ მუშტეჰიდს, აურებელი ხალხი მიაწყდა. ამ მოვლენას დიდ მნიშვნელობას აძლევენ და ჰფიქრობენ, ეს დიდი პროტესტია ანტირელიგიურ მოძღვრებისაო. მოლლის სიეიტულ-ისლამს მოუწოდებენ, რომ ნოვრუზზე აღარ იდღესასწაულოს, ნიშნად იმ მწუხარებისა, რომ ამ ჟამად რუსის ჯარი სპარსეთში შეიჭრა.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** საღამოს 4 საათსა და 5 წუთზე სახელმწიფო საბჭო უმაღლესი ბრძანების მოსასმენლად შეიკრიბა. ეს ბრძანება საბჭოს მოქმედებათა 15 მარტამდის შეწყვეტას შეეხებოდა. თავმჯდომარემ აკიმოვმა კრებას წინადადება მისცა ბრძანება ფეხზე დგომით მოვისმინოთო. ბრძანების წაკითხვის შემდეგ აკიმოვმა დაიძახა: გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს! ურა! კრებამ „ურა“ სამჯერ გაიმეორა რა დაიშალა.

**ცარიცინი.** სახალხო მატარებლით, ღამე ბერ-მონაზონი ილიოდორი მოვიდა ცარიცინს ახლოს რაზგულიაევკაზე იგი მატარებლიდან გამოვიდა და შვიდი ვერსით დაშორებული სამეტალურგო ფრანგულ ქარხნისაკენ ფეხით გაემართა. საკურთხეველში შევიდა, შეიმოსა და ეპისკოპოს გერმოგენს დეპეშით სთხოვა: ნება მომეცი ჩემ მიერ განათლებულ მონასტერში ლიტანიით წავიდეო. ილიოდორის თაყვანის მცემლებმა ქარხნისაკენ დილითვე იწყეს სვლა.

**ცარიცინი.** ბერ-მონაზონი ილიოდორი გლეხის ურმით მონასტერში მივიდა და განაცხადა, ცარიცინში სამუდამოდ დავრჩებიო. ეპისკოპოსი გერმოგენი დეპეშით შეევედრა ნოვოსილის მონასტერში დაბრუნდიო.

**სარატოვი.** სასულიერო სასწავლებლიდან დათხოვნილი მოწაფე ეკლესიიდან მომავალ რექტორს დაუხვდა და ფინური დანით მუცელსა და თეძოს დასჭრა. რექტორი ცელებროვსკი გარდაიცვალა.

**ოდესა.** ქუნთრუშიან ბავშვთა საავადმყოფოში პატარა ქალების სუსუნატით და ავადმყოფების საქმე საგანგებო საქმეთა გამომძიებელს გადაეცა.

**პეტერბურგი.** ჩინეთში განწესებულ სამხედრო აგენტების თანაშემწე პოლკოვნიკი პალტერი სამხედრო აგენტად დაინიშნა.

**პეტერბურგი.** მრეწველობის მინისტრი ავადმყოფობისა გამო მოხსენებებს არ იღებს. საქმეებს მისი თანაშემწე განაგებს.

**შავი ჭირი.**

**პეტერბურგი.** ჭირთან მებრძოლმა კომისიამ პრიამურის საგენერალ-გუბერნატოროში ხუთი ექიმი გაგზავნა. მათ ჭირთან საბრძოლველ საშუალებათა გავრცელებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ.

**პარიზი.** პასტერის ინსტიტუტმა რუსეთში ექსპედიცია გაგზავნა: კალმიკებში ჭლექი და ყირგიზებში ჭირი უნდა გამოიკვლიოს. ექსპედეციას მეჩნიკოვი ხელმძღვანელობს. მას მეუღლეც თან გაჰყვება.

**ხარბინი.** 12 მარტს ქუჩაში ერთი ჩინელის გვამი იპოვეს. 2 ავად გახდა.

**ციციკარი.** 13 დღის განმავლობაში შავი ჭირით 25 გარდაიცვალა. უკანასკნელ დღეებში ავად არავინ გამხდარა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

ამ უკანასკნელს დღეებში კამათი გაიმართა „სახალხო გაზეთსა“ და „თემს“ შორის. „სახალხო გაზეთში“ ბ-ნ დიასამიძის წინააღმდეგ დაბეჭდილი იყო სამი წერილი: ერთი სარედაქციო შეკითხვა, ერთი წერილი ბ-ნ შინაურისა და ერთიც ბ-ნ არჩილ ჯორჯაძისა. გაზეთი „თემი“ კი კამათის დროს მიხსენიებს მეც. რა საბუთით სჩადის ამას გაზეთი „თემი“, როდესაც ჩემი სახელითა და გვარით ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში არც ერთი წერილი არ დაბეჭდილა, და ფართო მკითხველი საზოგადოება შეიძლება სრულიადაც არ მიცნობდეს? იქნება ეს არის გაზეთ „თემის“ ხელმძღვანელის აზრით სალიტერატურო ეთიკა? დაე მიუდგომელმა მკითხველმა დააფასოს, რამდენად საკადრისია ასეთი საქციელი.

**არჩილ ჯაჯანაშვილი.**

—

ბატონო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ პატარა წერილს.

1906 წ. 14 აპრილში გავგზავნე ხარბინში ჩემი ძმა ილიკო გარსევანის ძე მუხურაძე, რომელიც წასვლის პირველ წლებში მწერდა ყოველთვის წერილს. შემდეგ წერილები აღარ მომსვლია, არ ვიცი, მოკვდა თუ ცოცხალია.

ვსთხოვ ყველას, ვინც კი რამე იცის ჩემი ძმის შესახებ, „სახალხო გაზეთის“ შემწეობით შემატყობინოს.

**ივანე გარსევანის ძე მუხურაძე და დედა მარიამი.**


## განცხადებანი

**მუხრანის ხიდთან**

### სამკურნალო

**გ ა ი ხ ს ნ ა**

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ნ. მ. ახპახოვი**—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. აბვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოხანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—45)

### ქირომანტი-ასტროლოგი

გამოიცნობს აწმყოს, წარსულსა და მომავალს. ყოველ სულიერ განცდასა და ჩვეულებას. ყველა კითხვაზე პასუხს იძლევა. პირისპირ ნახვითა და წერილით. მიხეილის პრ. N 97, სახლი 8 იღებს დილის 9 ს. საღამოს 8 საათამდე. (10—1036—7)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

### ჭრა-კერვის

**● წ ი გ ნ ი ●**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—21)

### პრემია

ამ გაზეთის ყველა მკითხველს უფასოდ ვუგზავნით 25 მეტად საინტერესო ნივთს, ჩვენ მხოლოდ გასაგზავნ და გასახვევის ფასად 90 კ. ვიღებთ. დღესვე გამოგვიგზავნეთ ღია წერილით თქვენი სწორე ადრესით. ადრესი: Лодзь 172 почт. ящикъ 367. Метцль. 2098.

(5—1163—2)

◀ **მშობიარეთათვის** ▶

### თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., ბაბებიც ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—70)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისს საკრებულოში, ამ წლის 18 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, იჯარით გაიცემა მნაცაკანის ხიდზე მიმომსვლელ ეტლებზე ბაჟის აკრების უფლება. პირობების გადათვალიერება შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველდღე კვირა-უქმის გარდა დილის საათამდე. 10—2 (3—1134—3)

### ცელლულიალური აბრეშუმის ჭიის თესლი

კავკასიის საბრეშუმო სადგურში დამზადებული იყიდება

**მისხალი 35 კაპეიკად,**

სადგურის საწყობში, მუშტეიდის ბაღი. (3—512—1)

### თესლეულობა

**თ. კიღმარიშვილი და ამხ. ქუთაისში**

იყიდება: იონჯისა, სამყურისა, კოინდრისა, **დაფნის თესლისა** გირვანქა 60 კ., ეკლის ხისა, ბოლოის და ყოველგვარი ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა **თესლეულობას**. ნერგები: ნამყენი ხეხილებისა, ეკლის ხის, **დაფნის** და ბაღის სხვა და სხვა ვარდისა. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება. (30—1104—8)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

### სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მაღაზიას

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

### ახალ-ახალი

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

### ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

**მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა**

გირვანქა 2 მან.—2 მან. 40 კ.

**წითელი ხიზილალა** (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რებეც 50 კ.

### მივიღეთ ახალი ნავაგა

აგრეთვე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—125)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა